საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

თბილისი 0114, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე

ბრძანება

1/237/19 **26-06-2019**

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 120-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 121-ე მუხლის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ და „შ“ ქვეპუნქტების, 220-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის გიორგი კეკელიძის 2019 წლის 17 ივნისის №1-11837/19 წარდგინების საფუძველზე:

1. დამტკიცდეს საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის სტრუქტურა და საშტატო ნუსხა (თან ერთვის).
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2018 წლის 21 მარტის №69/3 ბრძანება.
3. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

პარლამენტის თავმჯდომარე
არჩილ თალაკვაძე